

შპს ინტრაკო ნუტრიშენი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
5. სავაჭრო მოთხოვნები	12
6. სასაქონლო მატერიალური მარაგი.....	12
7. გადახდილი ავანსები	13
8. ძირითადი საშუალებები	13
9. სავაჭრო ვალდებულებები.....	14
10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.....	14
11. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15
13. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	16
14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-22	31-12-21 (გადაანგარიშებული)	31-12-20 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	327,071	337,105	618,992
სავაჭრო მოთხოვნები	5	780,138	623,160	399,033
სასაქონლო მატერიალური მარაგი	6	4,072,746	1,882,709	1,641,835
გადახდილი ავანსები	7	301,799	606,188	26,793
საგადასახადო აქტივი		74,024	19,205	56,847
სხვა მიმდინარე აქტივები		119	1,705	32
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,555,897	3,470,072	2,743,532
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	237,670	164,819	58,850
სულ გრძელვადიანი აქტივები		237,670	164,819	58,850
სულ აქტივები		5,793,567	3,634,891	2,802,382
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	1,192,785	679,259	580,923
გადასახდელი ხელფასები		10,576	7,390	10,070
მიღებული ავანსები		-	1,823	12,208
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,203,361	688,472	603,201
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	752,063	120,000	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		752,063	120,000	-
სულ ვალდებულებები		1,955,424	808,472	603,201
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		348	348	32,842
გაუნაწილებელი მოგება		3,837,795	2,826,071	2,166,339
სულ საკუთარი კაპიტალი		3,838,143	2,826,419	2,199,181
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,793,567	3,634,891	2,802,382

დირექტორი



გიორგი დალაქიშვილი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	11	12,168,920	9,780,870
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(10,211,044)	(8,671,323)
საერთო მოგება		1,957,876	1,109,547
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(231,100)	(87,354)
ხელფასები და სხვა სარგებელი	13	(428,849)	(225,801)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(34,200)	(17,595)
სხვა შემოსავლები		52,284	90,461
სხვა ხარჯები		-	-
მოგება პროცენტებამდე და საკუროს სხვაობამდე		1,316,011	869,258
საპროცენტო ხარჯი		(86,810)	(749)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		14,008	(12,315)
მოგება დაბეგვრამდე		1,243,209	856,194
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,243,209	856,194

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	2022	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	2,826,419	2,199,181	32,842
წმინდა მოგება	1,243,209	856,194	2,166,339
გადახდილი დივიდენდი	(231,485)	(196,462)	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	-	(32,494)	-
ნაშთი წლის ბოლოს	3,838,143	2,826,419	2,199,181

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ინტრაკო ნუტრიშენი დაფუძნდა 2016 წლის 22 ივლისს. კომპანიის მისამართია: საქართველო, მცხეთის რაიონი, ს. მუხრანი, 29-ე, II ჩიხი, #2. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 436039519.

კომპანიის მეწილეებს წარმოადგენენ: 33% როსტომ პაპიძე (პ/ნ: 54001008639), 34% ჯაბა პაპიძე (პ/ნ: 01016004437) და 33% გიორგი დალაქიშვილი (პ/ნ: 31001040497).

კომპანიის დირექტორს წარმოადგენს გიორგი დალაქიშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ცხოველების საკვების წარმოება და მისი შემდგომი რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2022 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20 (გადაანგარიშებული)	31-12-19 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	337,105	618,992	304,143
სავაჭრო მოთხოვნები	6	623,193	399,033	354,716
გაცემული ავანსები	7	606,188	26,793	182,424
მარაგები	8	1,873,209	1,641,825	1,281,586
საგადასახადო აქტივები		48,291	63,598	96,199
სხვა მიმდინარე აქტივები		1,706	30	17,897
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,489,692	2,750,271	2,236,965
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		161,895	56,774	23,323
არამატერიალური აქტივები		2,924	2,076	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		164,819	58,850	23,323
სულ აქტივები		3,654,511	2,809,121	2,260,288
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	680,682	580,880	827,364
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი მიღებული ავანსები		7,390	10,070	6,138
მიღებული ავანსები		1,823	12,208	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		689,895	603,158	833,502
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		120,000	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		120,000	-	-
სულ ვალდებულებები		809,895	603,158	833,502
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	220	32,714	47,377
გაუნაწილებელი მოგება		2,844,396	2,173,249	1,379,409
სულ საკუთარი კაპიტალი		2,844,616	2,205,963	1,426,786
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,654,511	2,809,121	2,260,288

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	შენიშვნა	2021	2020 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	9,780,870	6,469,222
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(8,646,355)	(5,420,349)
საერთო მოგება		1,134,515	1,048,873
ხელფასები და სხვა სარგებელი	13	(225,801)	(93,830)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(99,676)	(63,594)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(17,595)	(8,492)
საოპერაციო მოგება		791,443	882,957
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		76,164	(78,938)
მოგება დაბეგვრამდე		867,607	804,019
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		867,607	804,019

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარი		47,377	1,379,409	1,426,786
კაპიტალის შემცირება	10	(14,663)	-	(14,663)
დივიდენდის გატანა			(10,179)	(10,179)
წმინდა მოგება		-	804,019	804,019
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი		32,714	2,173,249	2,205,963
კაპიტალის შემცირება	10	(32,494)	-	(32,494)
დივიდენდის გატანა			(196,460)	(196,460)
წმინდა მოგება		-	867,607	867,607
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი		220	2,844,396	2,844,616

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

თარიღი	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობა	30
ოფისის აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	8

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი. კომპანიას არ გააჩნია წარმოება. იგი ახდენს მზა პროდუქციის შეძენასა და შემდგომ არსებულ მდგომარეობაში გადაყიდვას. შესაბამისად კომპანიის მარაგები შედგება მზა საქონელისგან.

3.4 ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

3.5 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და

ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.6 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული სრულად აქვს განთავსებული საბანკო ანგარიშებზე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-22	31-12-21
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	54,242	120,560
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	272,829	216,545
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	327,071	337,105

5. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად უკავშირდება საბითუმოდ და საცალოდ რეალიზებულ საქონელს.

მათი ჩაშლა 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-22	31-12-21
მოთხოვნები საბითუმო ვაჭრობიდან	534,073	390,102
მოთხოვნები საცალო ვაჭრობიდან	105,847	63,029
სხვა მოთხოვნები	140,218	170,029
სულ სავაჭრო მოთხოვნები	780,138	623,160

6. სასაქონლო მატერიალური მარაგი

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები დაყოფილია საქონლად, დაუმთავრებელ წარმოებად და მზა პროდუქციად.

მათი ნაშთები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-12-22	31-12-21
საქონელი	3,988,983	1,802,093
დაუმთავრებელი წარმოება	4,103	5,896
მზა პროდუქცია	79,660	74,720
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	4,072,746	1,882,709

7. გადახდილი ავანსები

კომპანიის გადახდილი ავანსები ძირითადად დაკავშირებულია საქართველოში და პორტუგალიაში რეგისტრირებულ კომპანიებთან, მათი ბალანსები 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

გადახდილი ავანსები	31-12-22	31-12-21
საქართველო	76,225	-
პორტუგალია	209,058	482,152
აშშ	-	54,000
ჩინეთი	7,125	66,571
სხვა ქვეყნები	9,391	3,465
სულ გადახდილი ავანსები	301,799	606,188

8. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებზე 2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	62,251	79,227	141,478
ოფისის აღჭურვილობა	34,295	4,142	38,437
ავეჯი და სხვა ინვენტარი	983	941	1,924
სატრანსპორტო საშუალებები	95,965	22,741	118,706
სულ	193,494	107,051	300,545
დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარების ცვეთა	17,886	17,453	35,339
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	2,973	6,572	9,545
ავეჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა	4	311	315
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	7,812	9,864	17,676
სულ	28,675	34,200	62,875

ძირითად საშუალებებზე 2021 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	33,599	28,652	62,251
ოფისის აღჭურვილობა	5,931	28,364	34,295
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	983	983
სატრანსპორტო საშუალებები	30,400	65,565	95,965
სულ	69,930	123,564	193,494
დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარების ცვეთა	8,850	9,036	17,886
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	600	2,373	2,973
ავეჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა	-	4	4
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	1,630	6,182	7,812
სულ	11,080	17,595	28,675

9. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად დაკავშირებულია საქართველოში და ბელგიაში რეგისტრირებულ კომპანიებთან.

მათი ბალანსები 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-22	31-12-21
საქართველო	150,162	2,429
ბელგია	1,026,850	674,726
სხვა ქვეყნები	15,773	2,104
სულ სავაჭრო ვალდებულებები	1,192,785	679,259

10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები დაკავშირებულია რეზიდენტი ბანკებიდან აღებული სესხებისაგან.

მათი ჩაშლა 2022 და 2021 წლის ბოლოსათვის შემდეგია:

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	31-12-22	31-12-21
ს.ს. თი ბი სი ბანკი	103,848	120,000
ს.ს. პროგრედიტ ბანკი	648,215	-
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	752,063	120,000

11. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ცხოველების საკვების წარმოება და მისი შემდგომ რეალიზაცია.

2022 და 2021 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2022	2021
შემოსავალი	12,168,920	9,780,870
შემოსავლები რეალიზაციიდან	12,380,034	9,965,569
დაბრუნებები და ფასდათმობები	(211,114)	(184,699)
თვითღირებულება:	(10,211,044)	(8,671,323)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(10,211,044)	(8,671,323)
საერთო მოგება	1,957,876	1,109,547

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
საწვავის ხარჯი	83,222	-
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯი	33,810	8,780
იჯარის ხარჯი	30,932	20,746
რემონტისა და შენახვის ხარჯი	22,703	-
საბანკო მომსახურების ხარჯი	15,141	13,880
საოფისე ინვენტარის ხარჯი	12,368	-

აიტი და პროგრამული მომსახურების ხარჯი	1,322	881
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	360	2,630
მარკეტინგის ხარჯი	229	10
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	31,013	40,427
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	231,100	87,354

13. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების საანგარიშს. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2022	2021
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	12,413	10,232
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	416,436	215,569
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	428,849	225,801

14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2022 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 12,413 ლარი, ხოლო 2021 წლის განმავლობაში კი 10,232 ლარი.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ ქართული კომერციული ბანკისაგან აიღო სესხები ლარსა და ევროში. ევროს საშუალო ეფექტურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 7% ხოლო ლარის ეფექტურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 14%.